სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც ზნეობრივი სახელმწიფო (გ.ვ.ფ. ჰეგელიდან თანამედროვე სოციალურ თეორიებამდე)

მარიამ ხაზარაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მამუკა ბერიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განცხადება

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ხაზარაძე

31.01.2019

სარჩევი

აბსტრაქტი ii

შესავალი 1

1. თავისუფლება, როგორც ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის ძირითადი პრინციპი 4

2. ჰეგელის ფილოსოფია, როგორც ცნობიერების გამოცდილების მეცნიერება და მეცნიერების სისტემა 10

3. სულის განსაზღვრება ჰეგელთან 25

4. *სამართლის ფილოსოფია*, როგორც ობიექტური სულის სფერო 31

5. ნება, როგორც *სამართლის ფილოსოფიის* პრინციპი და ბუნებითი სამართლის კრიტიკა 32

5.1. პერმუტაციის პრინციპის მნიშვნელობა *სამართლის ფილოსოფიისთვის* და სიკეთის იდეა 36

6. ჰეგელის სახელმწიფოს თეორია, როგორც მოდერნული სახელმწიფოს პრინციპი 43

7. *სამართლის ფილოსოფიის* სტრუქტურა - აბსტრაქტულობა, მორალურობა, ზნეობრიობა 48

7.1. მორალურობის საფეხური 54

7.2. ზნეობრიობა 57

8. სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების გამიჯვნა, როგორც ინდივიდუალური თავისუფლების პირობა 65

9. ზნეობრიობა თუ მორალურობა? 74

10. ადამიანის ღირსების შესაბამისი აღიარება და გამართლება ზნეობრივის სივრცეში 77

11. სოციალური პათოლოგიები და თავისუფლების კომუნიკაციური გაგება, როგორც სოციალური პათოლოგიის თავიდან არიდების შესაძლებლობა 79

12. ზნეობრივი სახელმწიფოს ფუნქციები 83

13. თავისუფლების ინსტიტუციური ფორმა და დელიბერაციული დემოკრატიის მოდელი 87

14. სიმეტრიული აღიარება და თანასწორი სამართლიანობა 94

დასკვნა 99

ბიბლიოგრაფია 100

აბსტრაქტი

ნაშრომში *სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც ზნეობრივი სახელმწიფო (გ.ვ.ფ. ჰეგელიდან თანამედროვე სოციალურ თეორიებამდე)* წარმოდგენილია თანამედროვე სახელმწიფოს თეორიების ბმა კლასიკური გერმანული ფილოსოფიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წარმომადგენელთან - გ.ვ.ფ. ჰეგელთან, რომლის *სამართლის ფილოსოფიის* შინაარსი და სტრუქტურული დაყოფა უდიდეს რეაქტუალიზაციას განიცდის სამართლებრივ სახელმწიფოზე თანამედროვე თეორიებში, რომელთა ფარგლებში განსაზღვრული და დამუშავებულია სახელმწიფოს და ადამიანების და ასევე, ადამიანებს შორის ურთიერთმიმართების ფორმა, რომელიც შეიძლება გახდეს სოციალური თავისუფლების განხორციელების შესაძლებლობა, ანუ ზნეობრივი სახელმწიფო.